

## უმუშევრობის დაზღვევა

ეგნატე შამუგია<sup>1</sup>

საქართველოში შრომის ბაზართან დაკავშირებული საკითხები მუდამ აქტუალურია, რისი მიზეზი, დიდწილად, ამ კუთხით არსებული არასახარბიელო მდგომარეობაა. მაგალითად, კავკასიის ბარომეტრის უახლესი მონაცემებით, სრულწლოვანი მოსახლეობის ნახევარი მიიჩნევს, რომ მას სამსახური არ აქვს, ხოლო ასეთი ადამიანების 33% ამბობს, რომ ხუთ წელზე მეტია, რაც უმუშევარია და 34%-ის თქმით, არასდროს ყოფილან დასაქმებულნი<sup>2</sup>.

შრომის ბაზართან დაკავშირებულ საკითხებს შორის, ერთ-ერთი არის უმუშევრობის დაზღვევა, რომლის შესახებაც სხვადასხვა ინტერესჯგუფი ხშირად საუბრობს. საარჩევნო პერიოდში კი ამ საკითხზე საუბარს პოლიტიკოსები იწყებენ. უმუშევრობის დაზღვევის პროგრამა საქართველოში ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ევროპის თითქმის ყველა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში არსებობს<sup>3</sup> და მას ხანგრძლივი ისტორია აქვს.

უმუშევრობის დაზღვევა სამსახურის არანებაყოფლობით დაკარგვით გაღარიბების რისკების დაზღვევაა, რომელიც სამუშაოს ძებნის დროს მუშახელის მოხმარების დონის შენარჩუნებას უზრუნველყოფს და დაზღვეულს შესაძლებლობას აძლევს, უფრო მეტი დრო დაუთმოს მისთვის შესაფერისი საქმის პოვნას. უმუშევრობის დაზღვევის გარეშე, ადამიანებმა შეიძლება მიიღონ ნებისმიერი ხელმისაწვდომი სამუშაო, თუნდაც დაბალი ანაზღაურებით და მათთვის შეუსაბამო პირობებით.

დღეს არსებული უმუშევრობის სავალდებულო საჯარო დაზღვევა, რომლის წინამორბედი იყო პროფკავშირების მიერ კერძოდ და ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებული სქემები, წინა საუკუნის პირველი ათწლეულებიდან ჩამოყალიბდა და სამთავრობო ფუნქცია გახდა. პირველი ასეთი პროგრამა XIX საუკუნის პირველ ნახევარში დიდ ბრიტანეთში შეიქმნა, ხოლო ამავე საუკუნის მიწურულს - შვედეთში. მოგვიანებით სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. უმუშევრობის

<sup>1</sup> კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise, საქართველოს უნივერსიტეტი. e-mail: [e.shamugia@ug.edu.ge](mailto:e.shamugia@ug.edu.ge)

<sup>2</sup> CRRC. (2024). *Caucasus Barometer* [Dataset]. CRRC-Georgia.

<sup>3</sup> უმუშევრობის დაზღვევა დაახლოებით 70-მდე ქვეყანაში არსებობს (ეკონომიკური თანამშროლობის და განვითარების ორგანიზაციის ყველა წევრის ჩათვლით). მათი აბსოლუტური უმეტესობა, რომელიც ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე მთავრობის მიერ მართული სისტემაა, სავალდებულოა. იხილეთ მეტი: Carter, J., Bédard, M., & Bista, C. P. (2013). *Comparative review of unemployment and employment insurance experiences in Asia and worldwide*. Bangkok: ILO. ; Schmieder, J. F., & Von Wachter, T. (2016). The Effects of Unemployment Insurance Benefits: New evidence and interpretation. *Annual Review of Economics*, 8(1), 547–581.

სავალდებულო დაზღვევაში მოწინავე დიდი ბრიტანეთი აღმოჩნდა. უმუშევრობის სავალდებულო დაზღვევა პირველად 1911 წელს სწორედ ბრიტანეთში შემოიღეს. მანამდე არსებობდა გენტის ნებაყოფლობითი სისტემა, რომლის არსებობის პერიოდი საკმაოდ მოკლე აღმოჩნდა, რადგან ამ პერიოდში პოლიტიკური მხარდაჭერა სავალდებულო დაზღვევის სქემებს ჰქონდა<sup>4</sup>.

უმუშევრობის სავალდებულო დაზღვევაც მთავრობის მიერ ადმინისტრირებული სოციალური დაცვის სისტემის ნაწილია. შესაბამისად, ისიც, როგორც სოციალური დაცვის სხვა პროგრამები, რესურსტევადი და მაღალი ფისკალური რისკების მატარებელია, რაც ასეთი სქემების შრომის ბაზარზე სტიმულების დამახინჯებას უკავშირდება<sup>5</sup>. დროით შეზღუდულ ადამიანს მუშაობასა და დასვენებას შორის არჩევანის გაკეთება უწევს. თუკი უმუშევრობა ანაზღაურებადი იქნება, სამსახურის ძიების ნაკლები სტიმული იარსებებს. ამით, ერთი მხრივ, იზრდება ასეთი პროგრამების დანახარჯები და მეორე მხრივ, მცირდება მათი დაფინანსების რესურსები, რადგან შემოსავლების წყარო სწორედ შრომის დაბეგვრით მიღებული ფინანსური ნაკადებია. ამასთან, ნაკლები შრომა ნაკლები გამოშვებაა, რაც უფრო ნაკლებ მთლიან კეთილდღეობას ნიშნავს.

უმუშევრობის დაზღვევის ხანგრძლივმა არსებობამ და შრომის ბაზარზე მისი გავლენის მიმართ შრომის ეკონომიკის მკვლევართა ინტერესმა, უხვი ემპირიული ლიტერატურა შემოგვთავაზა. ასეთი ლიტერატურა, ძირითადად, ცდილობს, აღწეროს და გაზომოს უმუშევრობის დაზღვევის არახელსაყრელი გავლენა შრომის მიწოდებასა და დასაქმებაზე. უმუშევრობის დაზღვევით მოსარგებლე, ძირითადად, ბოლო ანაზღაურების გარკვეული პროცენტის ოდენობით, იღებს დროში შეზღუდულ დახმარებას. შესაბამისად, არსებული ემპირიული ლიტერატურა ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველი, ესაა უმუშევრობის დახმარების ხანგრძლივობის გავლენა და მეორე - დახმარების დონის ეფექტი.

<sup>4</sup> XX საუკუნის დასაწყისში ბელგიის ქალაქ გენტში საბიუჯეტო დახმარებით შეიქმნა ნებაყოფლობითი, პროფკავშირების მიერ ადმინისტრირებული დაზღვევის ფონდი, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში დაინერგა. იხილეთ მეტი: Holmlund, B. (1998). Unemployment insurance in theory and practice. *the Scandinavian Journal of Economics*, 100(1), 113–141.

<sup>5</sup> Meyer, B. D. (2002). Unemployment and workers' compensation programmes: rationale, design, labour supply and income support. *Fiscal Studies*, 23(1), 1–49. ; Krueger, A. B., & Meyer, B. D. (2002). Chapter 33 Labor supply effects of social insurance. In *Handbook of public economics* (pp. 2327–2392).

ადრეული პერიოდის ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ უმუშევრობის დაზღვევის პერიოდს და სარგებლის დონესა და უმუშევრობას შორის კავშირი დადებითია. კერძოდ, სარგებლის ან ხანგრძლივობის ზრდა ამცირებს სამუშაოს პოვნის ალბათობას და შესაბამისად, დასაქმებას<sup>6</sup>.

ბოლო ორი ათწლეულის ემპირიული ლიტერატურა, დიდწილად, იზიარებს ადრეულ ტენდენციებს და დამატებით მტკიცებულებებს პოულობს უმუშევრობის დახმარების ხანგრძლივობის გავლენაზე. კერძოდ, რაც უფრო ხანგრძლივია უმუშევრობის დახმარება, მით უფრო ნაკლებია შრომის მიწოდება. სხვადასხვა ქვეყანაში უმუშევრობის პროგრამების ხანგრძლივობის ცვლილებამ აჩვენა ამ უკანასკნელის მძლავრი გავლენა შრომის მიწოდებაზე. ეფექტის ზომა კვლევებსა და ქვეყნებს შორის განსხვავებულია. ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ დახმარების მიღების ერთთვიანი გახანგრძლივება 2-20 დღით ახანგრძლივებს უმუშევრად ყოფნას<sup>7</sup>. აშშ-ის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 9-14 დღეა<sup>8</sup>. სარგებლის დონეს უფრო მეტი ეფექტი აქვს, ვიდრე დახმარების მიღების ხანგრძლივობას. შრომის მიწოდების ელასტიკურობა სარგებლის მიმართ, დაახლოებით, 30%-ით მეტია, ვიდრე

---

<sup>6</sup> Meyer, B. D. (2002). Unemployment and workers' compensation programmes: rationale, design, labour supply and income support. *Fiscal Studies*, 23(1), 1–49. ; Krueger, A. B., & Meyer, B. D. (2002). Chapter 33 Labor supply effects of social insurance. In *Handbook of public economics* (pp. 2327–2392). ; Anderson, P. M., & Meyer, B. D. (1997). Unemployment insurance takeup rates and the After-Tax value of benefits. *The Quarterly Journal of Economics*, 112(3), 913–937. ; Moffitt, R., & Nicholson, W. (1982). The effect of unemployment insurance on unemployment: the case of federal supplemental benefits. *The Review of Economics and Statistics*, 64(1), 1. ; Meyer, B. D. (1990). Unemployment insurance and unemployment spells. *Econometrica*, 58(4), 757. ; Solon, G. (1985). Work incentive effects of taxing unemployment benefits. *Econometrica*, 53(2), 295. ; Katz, L. F., & Meyer, B. D. (1990). The impact of the potential duration of unemployment benefits on the duration of unemployment. *Journal of Public Economics*, 41(1), 45–72. ; Moffitt, R. (1985). Unemployment insurance and the distribution of unemployment spells. *Journal of Econometrics*, 28(1), 85–101.

<sup>7</sup> Lalive, R., Van Ours, J., & Zweimüller, J. (2006). How changes in financial incentives affect the duration of unemployment. *Review of Economic Studies/the Review of Economic Studies*, 73(4), 1009–1038. ; Lalive, R. (2007). Unemployment Benefits, unemployment duration, and Post-Unemployment Jobs: A Regression Discontinuity approach. *The American Economic Review*, 97(2), 108–112. ; Card, D., Chetty, R., & Weber, A. (2007). Cash-on-Hand and Competing Models of Intertemporal Behavior: New Evidence from the Labor Market. *The Quarterly Journal of Economics*, 122(4), 1511–1560. ; Lalive, R. (2008). How do extended benefits affect unemployment duration? A regression discontinuity approach. *Journal of Econometrics*, 142(2), 785–806. ; Van Ours, J. C., & Vodopivec, M. (2008). Does reducing unemployment insurance generosity reduce job match quality? *Journal of Public Economics*, 92(3–4), 684–695. ; Centeno, M., & Novo, Á. A. (2009). Reemployment wages and UI liquidity effect: a regression discontinuity approach. *Portuguese Economic Journal*, 8(1), 45–52. ; Schmieder, J. F., Von Wachter, T., & Bender, S. (2012). The Effects of Extended Unemployment Insurance Over the Business Cycle: Evidence from Regression Discontinuity Estimates Over 20 Years. *The Quarterly Journal of Economics*, 127(2), 701–752. ; Barbanchon, T. L. (2016). The effect of the potential duration of unemployment benefits on unemployment exits to work and match quality in France. *Labour Economics*, 42, 16–29.

<sup>8</sup> Card, D., & Levine, P. B. (2000). Extended benefits and the duration of UI spells: evidence from the New Jersey extended benefit program. *Journal of Public Economics*, 78(1–2), 107–138. ; Card, D., Johnston, A., Leung, P., Mas, A., & Pei, Z. (2015). The Effect of Unemployment Benefits on the Duration of Unemployment Insurance Receipt: New Evidence from a Regression Kink Design in Missouri, 2003–2013. *The American Economic Review*, 105(5), 126–130.

ხანგრძლივობის შემთხვევაში<sup>9</sup>. ამასთან, შრომის მიწოდებაზე უმუშევრობის დახმარების გავლენა ევროპის ქვეყნებში უფრო მაღალია<sup>10</sup>, ვიდრე ამერიკის შემთხვევაში<sup>11</sup>.

ამრიგად, უმუშევრობის დაზღვევის სავალდებულო პროგრამები, შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად ეფექტიანი გზაა უმუშევრობით გამოწვეული სიღარიბის რისკების დასაზღვევად, რადგან ასეთი პროგრამების არსებობა ფისკალურად ხარჯიანია და ამცირებს შრომის მიწოდებას. უკეთესი ალტერნატივაა კერძო ინიციატივა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მუშაობის პერიოდში დაზოგვას ასეთი შემთხვევებისთვის. თუმცა, როგორც სხვა სოციალური დაცვის პროგრამებს, უმუშევრობის დაზღვევასაც ახასიათებს გამოდევნის ეფექტი, კერძოდ, რაც უფრო გულუხვია უმუშევრობის დახმარება, მით უფრო ნაკლებია კერძო დანაზოგები<sup>12</sup>. შესაბამისად, უფრო ნაკლები სოციალური დაცვის სავალდებულო სქემები, უფრო მეტ კერძო ინიციატივას ნიშნავს.

---

<sup>9</sup> Schmieder, J. F., & Von Wachter, T. (2016). The Effects of Unemployment Insurance Benefits: New evidence and interpretation. *Annual Review of Economics*, 8(1), 547–581.

<sup>10</sup> Carling, K., Holmlund, B., & Vejsiu, A. (2001). Do Benefit Cuts Boost Job Finding? Swedish Evidence from the 1990s\*. *The Economic Journal/Economic Journal*, 111(474), 766–790. ; Røed, K., & Zhang, T. (2002). Does unemployment compensation affect unemployment duration? *the Economic Journal/Economic Journal*, 113(484), 190–206. ; Lalive, R., Van Ours, J., & Zweimüller, J. (2006). How changes in financial incentives affect the duration of unemployment. *Review of Economic Studies/the Review of Economic Studies*, 73(4), 1009–1038. ; Card, D., Lee, D. S., Pei, Z., & Weber, A. (2015). Inference on causal effects in a generalized regression kink design. *Econometrica*, 83(6), 2453–2483.

<sup>11</sup> Card, D., Johnston, A., Leung, P., Mas, A., & Pei, Z. (2015). The Effect of Unemployment Benefits on the Duration of Unemployment Insurance Receipt: New Evidence from a Regression Kink Design in Missouri, 2003–2013. *The American Economic Review*, 105(5), 126–130. ; Meyer, B., & Mok, W. K. (2007). *Quasi-Experimental Evidence on the Effects of Unemployment Insurance from New York State*. ; Chetty, R. (2008). Moral Hazard versus Liquidity and Optimal Unemployment Insurance. *Journal of Political Economy*, 116(2), 173–234. ; Landais, C. (2015). Assessing the welfare effects of unemployment benefits using the regression kink design. *American Economic Journal. Economic Policy*, 7(4), 243–278. ; Kroft, K., & Notowidigdo, M. J. (2016). Should Unemployment Insurance Vary with the Unemployment Rate? Theory and Evidence. *Review of Economic Studies/the Review of Economic Studies*, 83(3), 1092–1124.

<sup>12</sup> Engen, E. M., & Gruber, J. (2001). Unemployment insurance and precautionary saving. *Journal of Monetary Economics*, 47(3), 545–579.